



10988/3-77/21 2 08112021

10988/3-77/21
08-11-2021

საქართველოს ეროვნულ ბანკს

მოგესალმებით,

ერთი თვის წინ გთხოვეთ მოგეწოდებინათ გათვლები, რის საფუძველზეც გააკეთეთ დასკვნა, რომ 12.8% ინფლაციაში, 9% გარე ფაქტორებით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ, არცერთ თქვენს პასუხში ამგვარი გათვლები არ იყო მოყვანილი.

მიზეზების მიუხედავად, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

მომაწოდოთ კონკრეტული გათვლები, რომლებიც ხსნიან 12.8%-იანი ინფლაციის მიზეზებს. მაინტერესებს, თქვენი შეფასებით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ფულის მასის (აგრეგატის M2) გავლენა ფასების დინამიკაზე, და თუ მიიჩნევთ, რომ კიდევ სხვა ფაქტორებმა იქონია გავლენა ფასების დინამიკაზე, გთხოვთ მომაწოდოთ ამ ფაქტორების აღწერა და მათ მიერ ინფლაციაში შეტანილი წვლილის აღმწერი მათემატიკური გამოთვლები.

იმედს ვიტოვებ, რომ მეტი ტრანსპარენტულობისკენ გადადგამთ ნაბიჯს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით ინფორმაცია კონფიდენციალურად მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიჩნეული, როცა ის ფინანსური სტაბილურობის კუთხით რაიმე სახის რისკებს ქმნის, ეხება საბანკო საიდუმლოებას, ან პერსონალურ მონაცემებს. ამჯერად მე ტექნიკურ ინფორმაციას გთხოვთ, რათა თქვენი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელი გახდეს ფართო აუდიტორიისთვის, რაც ჩემი ვალდებულებაა საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქციის შესრულების ფარგლებში. ასევე, მეტი ტრანსპარენტულობა პირდაპირ გამომდინარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებულ ცენტრალური ბანკების ტრანსპარენტულობის კოდექსიდან.

გთხოვთ, ზემოთხსენებული ინფორმაცია მომაწოდოთ Excel-ის ფორმატში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/3550

3550-04-2-202111261529

26/11/2021



საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს

თქვენს 2021 წლის 8 ნოემბრის
10988/3-77/21 წერილზე

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ეროვნული ბანკი არის გამჭვირვალე ორგანიზაცია, რასაც არაერთი საერთაშორისო შეფასება ადასტურებს (მაგ. საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის ჯილდო: ყველაზე გამჭვირვალე ცენტრალური ბანკი 2021). ეროვნული ბანკი ინტენსიურად იყენებს კომუნიკაციის მრავალ არხს, რათა ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ საზოგადოებისთვის რაც შეიძლება ხელმისაწვდომი და გასაგები გახადოს.

როგორც 2021 წლის 5 ოქტომბრის წერილშიც (N 2-04/2878) იყო აღნიშნული, თქვენს მიერ ინფლაციასთან დაკავშირებით დასმული საკითხი განხილულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის 2021 წლის ოქტომბრის გამოცემაში, მოცემულ ბმულზე: https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/მონეტარული_პოლიტიკის_ანგარიში/2021/mpr-2021q4-geo-final.pdf (ჩანართი 1. ეგზოგენური ფაქტორები პანდემიის დროს; გვერდი 22). წერილს თან ვურთავთ ექსელის ფაილს ინფლაციაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორების შესახებ განმარტებით.

რაც შეეხება ფულის მასის ზრდასა და ინფლაციას შორის კავშირს, აღნიშნული საკითხი მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის 2021 წლის აგვისტოს გამოცემაში არის განხილული: https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/მონეტარული_პოლიტიკის_ანგარიში/2021/mpr-geo-q3-geo.pdf (ჩანართი 1. კორელაცია ფულის მასის ზრდასა და ინფლაციას შორის; გვერდი 21).

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

